ყოველდღიური ცხოვრება იმერეთში.

პოპულარული ძველი თამაშები იმერთში

ღაბახი, იგივე ნიშანში სროლა — ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული სპორტული თამაში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თოფითა და მშვილდ-ისრით სროლაში. იმართებოდა დიდი მარხვის მეორე კვირის შაბათ დღეს ახალი მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად („სულთკრება"). მონაწილეობდა თითქმის მთელი სოფელი. აცხობდნენ სხვადასხვა ფორმის ხმიადებს და მიჰქონდათ მიცვალებულის ოჯახში. ჭირისუფალი ამ პურებს ფიცარზე დადებდა და გვერდით მიუწყობდა არყის ბოთლს, მატყლს, წინდებს, მარილსა და ა. შ. მონაწილენი პურებს ესროდნენ და ვინც მოარტყამდა, გვერდით მდგარი ჯილდოც მას ეკუთვნოდა. ვაჟა-ფშაველას განმარტებით ღაბახი არის „ნიშანი თოფის სასროლად რომელსაც დგამენ 400-500 ნაბიჯზე... ღაბახისთვის თოფის სროლა მკვდრის საცხონებელ საშუალებად არის ხალხის მიერ ცნობილი..." („ფშაველი და მისი წუთისოფელი").

ლელობურთი — ქართული ეროვნული სპორტის სახეობა, რომელიც აღმოცენებულია უძველესი თამაშის საფუძველზე. ტრადიციის სახით შემორჩენილია გურიაში, შუხუთში. თამაში იმართება მატყლით დატენილი ბურთით (3 კგ-მდე) ფეხბურთის მინდორზე (დაახლოებით 70×105 მ), რომელსაც არ აქვს კარი. გუნდს ეთვლება ქულა, თუ იგი რაიმე საშუალებით ხელით ან ფეხით გადააცილებს ან გადაიტანს ბურთს მოწინააღმდეგის ჩათვლის ხაზს იქით როგორც ჰაერში, ისე მიწაზე. გამარჯვებულია ის, ვინც ამას მეტჯერ გააკეთებს. ნებადართულია ჩავლება, ჩაბღუჯვა, წაქცევა, მხოლოდ უხეში ილეთების გარეშე. თამაში შედგება ორი 30-წუთიანი ნახევრისა და 10-წუთიანი შესვენებისაგან. ლელობურთს ყოველ აღდგომას თამაშობენ.

საქართველოში ყოველ წელს ტრადიციულად იმართება ლელობურთის რესპუბლიკური ჩემპიონატი. ამ ეროვნულ სახეობაში დაწესებულია საქართველოს სპორტის ოსტატის წოდება.

თარჩია — ძველებური ქართული ცხენოსნური თამაში. თამაშობენ მოედანზე ან მინდორზე. წინასწარ განსაზღვრავენ თამაშისათვის განკუთვნილ დროს. ჯერ თამაშში მონაწილეობის მსურველებს იწვევენ, შემდეგ თამაშის 4-ვე მონაწილე შეჯიბრებაზე დამსწრე ქალიშვილთაგან აირჩევს მსაჯს. მსაჯი თავის მხრივ ერთ-ერთ მონაწილეს მკლავზე ან საყელოზე დაუმაგრებს ფერად მანდილს (ამ მოთამაშესაც თარჩია ჰქვია). შემდეგ მოთამაშეები დასცილდებიან მსაჯს 100 მ და მსაჯის ნიშანზე თამაში იწყება. თამაშის მიზანია დაეწიონ თარჩიას, რომელიც ყოველნაირად ცდილობს თავი დააღწიოს მდევრებს და მანდილი მსაჯს დაუბრუნოს. თუ მოთამაშემ ეს მოახერხა, გამარჯვებულად ცხადდება და მსაჯი მას იმავე მანდილით აჯილდოებს, თუ რომელიმე მოთამაშე დაეწევა თარჩიას და ჩამოართმევს მანდილს, თამაში შეწყდება, მონაწილენი მანდილის ახალ პატრონს 50 მ-ით სცილდებიან და მსაჯის ნიშანზე თარჩია კვლავ იწყება.

ასპარეზობა,

ძველ საქართველოში ცხენოსნობა ზოგადი მნიშვნელობით, საბას განმარტებით "მოასპარეზობაჲ არს მჴედართა მიერ ანძათა ისრისა სრევა, ბურთთა ყვანჭსა ცემა, საგანთა სროლა და ეგევითარნი", მოასპარეზეს კი იგი ასპარეზობაში "წურთილს", დახელოვნებულს უწოდებს. ასპარეზობის სახეებიდან საქართველოში გავრცელებული იყო საკუთრივ ცხენოსნობა (დგენა, დოღი, მარულა, ცხენნი, ჯირითი, თარჩია), ბურთაობა (ჩოგანბურთი, გადრი, რადი), საგანთსროლა (ყაბახი, აშფაშაგი), ჩალისობა და სხვა შეჯიბრი, რაც ცხენთან, ცხენოსნობასთან იყო დაკავშირებული. ასპარეზობა ნადირობასთან ერთად ფიზიკურ აღზრდის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. თანამედროვე გაგებით ასპარეზობა ყოველგვარი სპორტის შეჯიბრებაა.

ბერიკაობა

ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი. ტერმინი ბერიკაობა განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებელ სანახაობას აღნიშნავს და ნაწარმოებია საერთო ქართველური ძირიდან "ბერ" (შვილი).

ბერიკაობას ბერიკები ასრულებდნენ. სცენარები, რომელთა საფუძველზეც იქმნდებოდა ბერიკული წარმოდგენები, საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა. ბერიკულ წარმოდგენებში შემონახულის განაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაების სადიდებელი მისტერიის გადმონაშთი (მაგ. ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში, აგრეთვე ადიგენის რაიონის სოფ. უდეში, ახმეტის რაიონის სოფ. მატანში დღესაც სრულდება ოდესღაც ტახღვთაების გარდაცვალებასა და მის აღდგომა-გაცოცხლებასთან დაკავშირებული მისტერიის სცენები).

ჩვენამდე მოღწეულია ბერიკაობის 100-მდე სიუჟეტი. მათი უმეტესობა კომიკურია და ძირითადად შექმნილია საყოფაცხოვრებო თემაზე. ბერიკაობა სამგვარი ნყობისა იყო: კარდაკარ სასიარულო, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო (სადღესასწაულო). საგანგებოდ შერჩეულ მოედანზე იმართებოდა დიდი ბერიკაობა, რომელსაც ზოგჯერ 100-მდე შემსრულებელი ჰყავდა. მისი ტრადიციული ნიღბები იყვნენ:მეფე (სასიძო), კეკელა (სარძლო), მაჭანკალი, გლეხი, თავადი, თათარი, მოსამართლე, ექიმი, ხუცესი, აგრეთვე ტახი, დათვი, თხა და სხვა ცხოველები.

დიდი მადლობა მასწავლებელო ყურადღბისთვის

ბოდიშით რომ ცოტაა
შემდეგ უფრო მეტს
გავაკეთებ